1877—1900

№ 185
პარასკევი, 25 აგვისტო, 1900 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲠᲔ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

# ივერია

№ 185
პარასკევი, 25 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227


## ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ᲪᲮᲕᲘᲠᲡᲐᲮᲝᲪᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲤᲔᲑᲘ, თეთრი და ფერადი ქსოვილები ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ტანისამოსის ისე ᲡᲐᲠᲩᲣᲚᲔᲑᲘ. აჭრვის როგორცაში ო იყიდება ქუთაისში, წერეთლიაბიო ნთსა და ᲡᲐᲞᲘᲠᲔ,ი გნის მაღაზიებში.

(50—5.—19) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐᲒᲐᲜᲡ, ვთხოვთ მიჰმართონ რაფაელ ისარლოვს, ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—5.—5)

## Ქ-ᲜᲘ ᲜᲐᲡᲘᲫᲘᲡᲐ

კვლავინდებურად ᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ სხვა-და-სხვა ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

## ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ.

ადრესი: ანდრეევის ქუჩა, № 23.

(6—158—4)

## ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ

ელენე ბახტაძისა

## Დ. ᲮᲝᲜᲨᲘ

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელ წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—2)

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Ვ. Ი. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ.—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

Ი. Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

Მ. Ა. ᲞᲝᲥᲠᲝᲕᲡᲙᲘ—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

Ვ. Გ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

Ა. Ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალისა 12 ნ—1 საათ.

Ვ. Ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სალოსტაქრო.

Ი. Დ. ᲑᲔᲑᲗᲐᲑᲔᲑᲝᲕᲘ—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗᲝᲑᲘᲗ:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Უ. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Ი. Თ. ᲞᲠᲝᲢᲐᲡᲔᲕᲘᲩᲘ. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

Ა. Პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

Ო. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.


## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის თვით მმართველობის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისში საავადმყოფო გარდასახადი შემოიღონ, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ შეუწყნარებია.

*** რკინის გზის მთავრობას განზრახვა აქვს რუსეთის ზოგიერთ ჩქარ მატარებლებში მოსამსახურე ქალები იყოლიოს ისევე, როგორც ეს საზღვარ-გარედ არის.

*** მინისტრთა კომიტეტის დებულებით ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა სამ-სამის წლით არყის ქარხნების გახსნის ნება მისცეს არა მარტო ქალაქებში, როგორც ამას საარცხო წესდება მოითხოვს, არამედ სოფლებშიაც.

*** ქართველ თავად-აზნაურთა ბანკის თეატრის გაკეთებასა და შეკეთებას 15 სექტემბერს მორჩებიან. ამ რიცხვიდგან აღნიშნულს თეატრში წარმოდგენებს გამართავს რუს-მალოროსთა დასი, ხოლო 15 ნოემბრიდგან დედინცევის რუსული საკომიკო ოპერა იწყებს წარმოდგენების მართვასა.

*** როგორც გვატყობინებენ, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში დაცულ ქართულ ძველ ხელთ-ნაწერებისა და საისტორიო მასალის შესწავლას შესდგომია.

*** სახელმწიფო საბჭოს, სჯულის საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად დაუდგენია: კატორღაში იმ გაგზავნილთ, რომელნიც შემდეგ უდანაშაულოდ იქმნებიან ცნობილი და სასამართლოს მიერ გამართლებული, უკან, სამშობლოშივე დაბრუნების ხარჯი ხაზინამ იკისროს ხოლმე, ხაზინამვე უნდა გამოგზავნოს თავისის ხარჯით დასჯილის ნათესავნი, თუ ასეთი ვინმე იყო დასჯილთან ერთად.

*** აზრადა აქვთ პეტერბურგის საპოლიტექნიკო ინსტიტუტთან შემდეგი ახალი განყოფილებანი დააარსონ: საკომერციო, საელექტროტეხნიკო, სანავოსნო და სამეტალურგო.

*** სინოდის განმარტებით, ცოლქმრობის დარღვევის დამტკიცება შე-

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### Ბ-Ნ Ა. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲔᲠᲝᲑᲐ.

(დასასრული *)

როგორც მკითხველს ეხსომება, მე ვამტკიცებდი, რომ შრომა საზოგადოდ არ შეიძლება დავუპირდაპიროთ კაპიტალს-თქო, ვამტკიცებდი აგრეთვე, რომ სიტყვა „საქირაო შრომა" არ ეთანხმება სინამდვილეს, რომ ის ადგილი მესამე ტომისა, სადაც მარქსს დაპირდაპირებული აქვს ერთმანეთთან კაპიტალი და „საქირაო შრომა", შემცდარია-მეთქი. ამის დასამტკიცებელი საბუთებიც მოვიყვანე. თუ გნებავთ, აი კიდევ ერთი საბუთიც: „ღირებულობა შრომისა არის მხოლოდ ირრაციონალი (ე. ი. უკანონო) თქმა მუშის ძალის ღირებულობის მაგიერ" *). აი, ბ-ნო ა. წულუკიძე: თვით მარქსი ამბობს, რომ შრომის ღირებულება, ან ფასი არ არსებობსო, რომ შრომა არ იყიდება, არა ჰქირავდებაო, რომ იყიდება და ჰქირავდება მხოლოდ მუშის ძალაო, რომ, თუ სადმე ვიხმართ ფრაზას „შრომის ფასი", უნდა ვიგულისხმოთ მუშის ძალის ფასიო. მაშასადამე, საქირაო შრომა არ არსებობს, და რაც არ არსებობს, როგორ შევიძლიან დავუპირდაპიროთ კაპიტალს, რომელიც არსებობს. მე მოგახსენეთ, რომ „კაპიტალის" მესამე ტომი შეუმუშავებელი დარჩა მარქსსა და ყოველი მისი ფრაზა შეურყეველ ჭეშმარიტებად არ უნდა მივიჩნიოთ-მეთქი. თქვენ რაღაც წინააღმდეგობა ჰნახეთ ჩემ მოხსენებაში და მიკიჟინებთ, რომ, როცა მჭირდება, მაშინ მეც მომყავს ამ ტომიდგან ადგილები. მერე რა? მე მიმაჩნია შეურყეველ ჭეშმარიტებად მესამე ტომის ყოველი ადგილი, რომელნიც-კი არ ეწინააღმდეგება „კაპიტალის" დედა-აზრს; აი ამგვარი ადგილები მომყავს ციტატებად. ეს ციტატა, პირველად თქვენ მიერ მოყვანილი, კი ეწინააღმდეგება. ამას ვამტკიცებ თვით მარქსისავე პირით. მაშ რაშია წინააღმდეგობა? გთხოვთ, ამიხსნათ. უნდა მოგახსენოთ, რომ „საქირაო შრომის" შესახებ წინა წერილში უფრო ვრცელი და დასაბუთებული სჯა მქონდა. ერთისა და იმავეს განმეორება და მოსმენა მოაწყინებს კაცს?! საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ საბუთებს ისე აუარა ბ-ნმა ა. წულუკიძემ გვერდი, თითქო არც-კი ყოფილიყოს გამოთქმული. აქაც კიდევ ჩაჩუმება, ჩაფუჩეჩება. აი კიდევ ერთი მაგალითი ლიტერატურულის მიუდგომლობისა.

მოვიყვანოთ სხვა მოსაზრებაც. მუშის ძალა არის ნიჭი, ენერგია, რომელიც ადამიანის სხეულშია. „მუშის ძალის დახარჯვა არის შრომაო", ამბობს მარქსი. მუშის ძალა, როგორც ენერგია, ნიჭი, არის მხოლოდ ფიზიოლოგიური მოვლენა, ამ ძალის დანახვა, ხმარება—შრომა არის სოციალური. ამიტომ თქვენი განცვიფრება: მაგგვარი სიტყვები არ დასცდებოდა მარქსსო, სრულიად უსაფუძვლოა. აი ბ-ნ ა. წულუკიძის მოსაზრება. ღიალაც არ დასცდებოდა ასეთი უმნიშვნელო, უაზრო და გამოურკვეველი ფრაზები და, თუ დასცდა, გთხოვთ მომიყვანოთ ციტატა. თქვენგან გადამახინჯებულ მას ფრაზებს-კი მისად ვერ მივიჩნევთ. რაც შეეხება თქვენგან მოყვანილ ფრაზას, დარწმუნებული ვარ, მისი მნიშვნელობა თქვენც არ გესმით, რადგან გაუგებარია.

კაპიტალისტი ჰყიდულობს შრომას-კი არა, მუშის ძალას. ამას მარქსი ყოველ ნაბიჯზედ ჰმოწმობს. აი თუნდ: „იმის (კაპიტალისტის) თვალში, პროცესსი შრომისა არის მხოლოდ ხმარება მისგან ნაყიდის საქონლისა —მუშის ძალისა" **). მუშის ძალის ყიდვა-კი სოციალური მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური.

ბ-ნი ა. წულუკიძე ჰბრძანებს, რომ შრომა ერთის მხრით სოციალური მოვლენაა და, რადგან კაპიტალიც სოციალური მოვლენაა, შრომა შეგვიძლიან დავუპირდაპიროთ კაპიტალსაო. ამის პასუხი უკვე მქონდა წინა წერილებში. მე ვამბობდი, რომ შრომა საზოგადოდ არ შეიძლება დავუპირდაპიროთ კაპიტალს, რადგან შრომა საზოგადოა, საყოველთაოა, ყველა ხანას ეკუთვნის, კაპიტალი-კი დროებითია. თვით კაპიტალი შრომაა, შრომის ტრიალია, სხვა არაფერი. კაპიტალი განივლის სხვა-და სხვა სტადიას. კაპიტალსა აქვს ჯერ ფულის სახე; ფული ე. ი. ოქრო, ფულად ქცეული, როგორც კაპიტალი არის განყენებული საზოგადო შრომა; მერე ფული იქცევა საქონლად; საქონელიც, როგორც კაპიტალი, არის აგრეთვე წარსული საზოგადო შრომა; შემდეგ ნაყიდი საქონელი იქცევა მწარმოებელ კაპიტალად. წარმოება ხდება უსულო საქონლისა და მუშების ერთმანეთზედ ზედმოქმედებით; წარსულ შრომას უერთდება ახალი შრომა; მუშების შრომა სწარმოებს კაპიტალისტის პატრონობის ქვეშ და კაპიტალისტისთვის. მუშის შრომა სწარმოებს კაპიტალისტურ ვითარებაში, დამონებულია კაპიტალისტისაგან, კაპიტალისტურია. მერე წარმოებიდგან გამოვა ისევ სავაჭრო საქონელი, ახალის შრომით გადიდებული, და მებრვე. მაშასადამე, კაპიტალიც შრომაა. მაშ როგორ უნდა იყოს წინააღმდეგობა კაპიტალსა და შრომას შორის? მე მესმის, როცა ამბობენ: წინააღმდეგობა ჰსუფევს ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორისო, ან სამიწად-მოქმედო კაპიტალსა და სამრეწველო კაპიტალს შორისო, რადგან პირველნი ვერასოდეს ვერ იქმნებიან მეორეებად. ესევე საბუთი, გეხსომებათ, წინადაც წარმოგიდგინეთ, მაგრამ აქაც კიდევ თქვენებურ ჩაჩუმებას და ჩაფუჩეჩებას მიჰმართეთ და რამდენჯერმე მოცემულ კითხვაზედ პასუხი არ მაღირსეთ. ესეც კიდევ მაგალითი თქვენი ლიტერატუ-

*) იხ. „ივერია", № 184.

*) Капиталъ, т. I, „превращеніе цѣнности или цѣны рабочей силы въ заработную плату".

**) Капиталъ, т. I. процессъ труда и процессъ возрастанія капитала.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა არა მარტო თვალით-მნახველ მოწმების საშუალებით, არამედ სხვა საბუთებითაცო. სენატის ამ განმარტებას, ეჭვი არ არის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

*** 1901 წელს პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის ბუნების-მეტყველთა და მკურნალთა მეთერთმეტე კრება. კრება 18 დეკემბერს დაიწყება და გასტანს 1902 წლის 7 იანვრამდე.

*** „კანონდებულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულ იქმნა საკომერციო სასწავლებელთა ახალი დებულება. ამ დებულებით საკომერციო სასწავლებლები შეიძლება დაარსებული იქმნას როგორც კაცებისა, აგრეთვე ქალებისათვის. ამასთან მასწავლებლობა იქ იმ ქალებსაც შეუძლიანთ, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ ან საპედაგოგიო კლასები გაუთავებიათ. საკომერციო სასწავლებელთან შეიძლება დაარსებულ იქმნას მოსამზადებელი კლასები, აგრეთვე პანსიონი და საზოგადო საცხოვრებელი. თუ საკომერციო სასწავლებელს სხვა-და-სხვა დაწესებულებანი ინახავს, მაგალითად, ერობა, ქალაქი, კერძო საზოგადოებანი, მათ ნება აქვთ საპედაგოგიო საბჭოში წარმომადგენელი იყოლიონ.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“ სწერენ, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს რაჭის მაზრაში დაბალი სასოფლო სამეურნეო სკოლა გახსნას. სკოლა ან ამბროლაურში იქმნება გახსნილი ან და ონში.

*** როგორცა სწერს იგივე გაზეთი, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ზოგიერთა ადგილობრივს დაწესებულებას განზრახვა თურმე აქვს ოზურგეთის მაზრაში საცდელად ჩაის პლანტაციები გამართოს. ხელმძღვანელობა ამ საქმეში აგრონომს ტიმოფეევსა აქვს მინდობილი.

*** ოთხშაბათს, 23 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის კრებაზედ გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ „ლოდკის გორის“ ქალაქის მიწების მოიჯარადრენი საიჯარო მიწების გეგმათა შედგენისათვის იხდიდნენ სამ სამ მანეთს; ეხლა რადგანაც „ლოტკის გორის“ მიწების საერთო გეგმა გვაქვს და ამის შემდეგ ყოველ ნაწერისათვის ცალკე გეგმის ალება საჭირო აღარ იქმნება, ამიტომ საჭიროა მოიჯარადრეთა საგეგმო გადასახადი 3 მანეთის ნაცვლად ერთ მანეთად გავხადოთო. ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა თავ. არღუთინსკის წინადადება.

*** დ. ლაილაში. ამ ჟამად ლეჩხუმის მაზრაში საშინლად გავრცელებულია გადამდები სენი მუცელ გვრემა (Dysenteria). არ მოიპოვება მაზრაში იმისთანა სოფელი, რომელშიაც 15—10 ავადმყოფი მაინც არ იყოს. დღემდის ავადმყოფობას 20 უმსხვერპლია. ამ სენის გარდა მაზრაში თავი იჩინა ციმბირის ჟილეხმა (Сибирская язва), რომლითაც ორი გლეხი ავად გახდა; ერთი ამათგანი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

*** ს. ყელქცეული (გორის მაზრა). ამ ჟამად აქ გავრცელებულია საქონლის ავადმყოფობა, რომელიც ხვეულებრივის საქონლის ჭირს არ წააგავს და რომელსაც აქაურები „ჭიჭინას“ ეძახიან. აქვე გავრცელებულია ბავშვების ავადმყოფობა „ყვავთმა“. ერთიც და მეორეც დიდს ზარალს აძლევს სოფელს. კარგი იქნება საგუბერნიო მმართველობა ყურადღებას მიაქცევდეს.

*** ოთხშაბათს, 23 აგვისტოს, ელისაბედის ქუჩაზედ მცხოვრებმა ქალაქ თელავის მოქალაქემ მიხეილ ნიკოლოზის ძემ აეეტიქოვმა განაცხადა, რომ ჩემი სახლიდგან ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ტანისამოსის ჯიბიდგან მომპარა 68 მან. 80 კაპ. პოლიციამ უკვე აღმოაჩინა ქურდი—ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, სოფელ შქმერის მცხოვრები ხალატი გიორგის ძე გაგნიძე, რომელსაც დაკარგული 68 მან. 80 კაპ. უნახეს. გაგნიძე აეეტიქოვის მოსამსახურე ყოფილა.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

5 აგვისტო, საღამო.

საკამათო საგნად თავმჯდომარე აცხადებს პროგრამის მეხუთე მუხლს, ე. ი. „ადგილების შეძენა კრების საჭიროებისათვის და კრებისათვის საჭირო შენობების აგება“-ს.

თავმჯდომარე. რამდენი ადგილი დასჭირდება კრებას თავისის საჭიროებისათვის? კრებამ გადასწყვიტა ჭიათურაში იქონიოს მუშებისათვის აბანოები, სამკურნალო, სადგომი საბჭოსთვის და სხ. ყველა ამათთვის ადგილის შეძენაა საჭირო.

ემერიკი გ. გ. საჭიროა ვიცოდეთ, რამდენი ფული დასჭირდება.

ს. ა. ქვარიანი. დედა-აზრის მხრივ ეს საგანი გადაწყვეტილია. ახლა მივანდოთ საბჭოს, რომ მან შეიძინოს ადგილი, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ჩვენ ვფიქრობთ შევიძინოთ ბ-ნ ვაშაძის ადგილი როგორც უფრო მოხერხებული ჩვენის საჭიროებისათვის. ადგილის შეძენას ვფიქრობთ საბჭოს სადგომისა, მომრიგებელ მოსამართლის სადგომისა, მოსამსახურეთა სადგომისა და ხაზინის განყოფილებისათვის, თუ იგი დაარსდა. ყოველ ამისათვის დაგვჭირდება 8-10 ქცევა, ამდენივე სამკურნალოსთვის, სადაც მოთავსებული იქმნება მკურნალის სადგომიცა და ფერშლებისაც, სამკურნალოს ექნება ბაღი; დაგვჭირდება კიდევ იმდენი ნაჭერი ადგილის შეძენა, რომ აბანოები ავაშენოთ. თითოეული ქცევა დაგვიჯდება ათას მანეთად.

კრებამ სრული თანხმობა გამოაცხადა ამ ადგილების შეძენის შესახებ და დაავალა საბჭოს, რათა მან გამოსთხოვოს მინისტრს უფლება შეიძინოს საბჭომ ეს ადგილები საკუთრებად.

შემდეგ კრება შეუდგა მეცხრე მუხლის განხილვას, ე. ი. „გაყვანა გზატკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკურის მოწყობილობის შავი-ქვის საზიდავად მაღნებიდგან“.

თავმჯდომარე. კრებას ჰსურს და სასარგებლოდ მიაჩნია გაუმჯობესებულ მისავალ გზების გაკეთება?

გ. გ. ემერიკი. მარტო მეხანიკურ დაღმართების გაკეთება ჩვენთვის არა კმარა. გზა-ტკეცილების გაკეთება მაინც არ აგვცდება, რადგან ცხენებისა და ხალხის მოძრაობა მეხანიკურ დაღმართზედ შეუძლებელია.

თავ. ი. ნიჟარაძე. ჩვენ გვაქვს ვიწრო გზა-ტკეცილები მაღნებთან, თუ მეხანიკურ დაღმართებს გავაკეთებთ, მაშინ ეს ვიწრო გზატკეცილები ხელ-უხლებელი დარჩეს, ხოლო თუ მეხანიკურ გზების გაკეთება ვერ მოვახერხეთ, მაშინ ამ გზატკეცილების შეკეთება დაგვჭირდება. ამიტომაც ვურჩევ კრებას, ჯერ მეხანიკურ დაღმართების შესახებს იქონიოს სჯა და შემდეგ გზა ტკეცილებისა.

გ. დ. ბაქრაძე. რადგან მეხანიკურის დაღმართების გამართვას მოველით, გზა-ტკეცილები აქა-იქ შევაკეთოთ.

თავმჯდომარე. როგორც სჩანს, კრებას ჰსურს გაუმჯობესებულის გზების გაკეთება. ამას წინად ჩვენ მოვისმინეთ ინჟენერის ბ-ნ მიხაილოვის მოხსენება, რომელშიაც გამოანგარიშებულია, რომ ამ გზების გაკეთებას დასჭირდება მილიონ ნახევარი მანეთი. როგორ გსურთ გზების გაკეთება: შინაურულად, თუ იჯარით გასცეთ?

გ. გ. ემერიკი. რაკი საზოგადო სურვილია, რომ უეჭველად საბჭომ იკისროს მეხანიკურის დაღმართების გაკეთება, უმჯობესი იქნება ეს საქმე გარდავცეთ კონცესიონერებს, მაგრამ ჩვენ ნურავითარ თავდებობას ნუ ვიკისრებთ. ამასაც გირჩევთ, რომ საბჭოს მონოპოლიად ნუ გავხდით ამ დაღმართების მოწყობას: კერძო კაცთაც მიეცეს სრული თავისუფლება ამ საქმეში გაერიონ, თუ ისინი ისურვებენ საკუთარის ხარჯით გაკეთებას.

ს. ა. ქვარიანი. საჭიროდ მიმაჩნია, რომ ეს საქმე დაწვრილებით შეისწავლოს საბჭომ და შემდეგ კრებას წარმოუდგინოს იგი განსახილველად.

ჯაფარიძე ი. თ. ეს ისეთი დიდი შემოსავლიანი საქმეა, რომ საჭიროა ყოველნაირი ღონისძიება ვიხმაროთ და სხვას არ ჩავუგდოთ ხელში. ჩვენ თითონ ვითაოთ ამ საქმის მოწყობა.

გ. ფ. ზდანოვიჩი. საბჭომ პირობა შეჰკრა ინჟენერ მიხაილოვთან; ამ პირობის ძალით მიხაილოვმა ვრცელი გეგმა უნდა წარმოგვიდგინოს ამ დაღმართებისა მომავალ ნოემბერში. განხილვა ამ გეგმისა აქ კრებაზედ გაგვიჭირდება. ვეთანხმები ბ-ნ ქვარიანს, რომ საბჭოს თითონ გადაეწყვიტა ეს საკითხი: მეიჯარადრისათვის გადაგვეცა, კონცესიონერებისათვის, თუ შინაურულად გაგვეკეთებინა. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ საბჭომ შემუშავებული გეგმა წარმოუდგინოს საგანგებო კრებას ნოემბერში.

გ. გ. ემერიკი. ამისთანა დიდ საგანს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ჩვენს შორის არ არიან სპეციალისტები, რომელთა აზრი უცილობლად მიიღებოდეს. მე ვარჩევ, პროექტი გავუგზავნოთ სხვა-და-სხვა ფირმებს, რომელნიც გამოცდილნი არიან ამ საქმეში, და მოვუცადოთ, რას გვაცნობებენ ისინი. ნოემბრამდის ეს საქმე არ მოგვესწრება.

გ. ფ. ზდანოვიჩი. საბჭოც ძალიან ფრთხილად ეკიდება ამ საგანს. პირობაში ჩვენ ეს გარემოება ჩავუმატეთ, რომ საბჭოს აქვს უფლება მისცეს ეს გეგმა განსახილველად სპეციალისტებს. თანახმა ვარ ბ-ნ ემერიკისა, რომ ნოემბრამდის ეს არ მოესწრება. ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ პროექტის შემოწმება დაუფასებლათ იმდენადვე, რამდენადაც მისი შედგენა, როგორც ეს დაემართა ბათუმის მილების გაყვანის პროექტს. მე ვთხოვ კრებას ცოტაოდენი ფული გადაიხადოს ამ საგნისათვის ხარჯთ-აღრიცხვაში.

რულ ურიგობისა.

„ამ ნაირად იგი (ე. ი. საქონელი) ხდება კაპიტალი და უპირდაპირდება მშრომელს, რომელსაც ეს კაპიტალი შეუქნია“, ჰბრძანებთ და შემდეგ ამისა დასძენთ: „შრომის და კაპიტალის ბრძოლის დასაწყისი აქ არის“. ერთი სიტყვით, მშრომელი და შრომა ერთი და იგივე გგონიათ. არც საკვირველია მას შემდეგ, რაც თქვენ დაამტკიცეთ თქვენი გონების ანალიტიკური არარაობა.

„საწარმოო იარაღი საზოგადო საკუთრება უნდა გახდეს და მით საზოგადოებრივი წარმოების ნაწარმოები ყველა მშრომელისა იქნება, ე. ი. საზოგადო. მაშინ შრომა იქმნება ნაშრომის გამნაწილებელი, დღეს-კი კერძო საკუთრებაა; ამნაირად მაშინდელი შრომა და დღევანდელი „კაპიტალისტური“ შრომა სხვა-და-სხვა ყოფილა და ამიტომ კაპიტალის და შრომის დაპირდაპირება ამ აზრითაც შეიძლება“. აი, ლოღიკა თუ გნებავთ, ეს არის! მერმინდელი შრომა შეიძლება დავუპირდაპიროთ კაპიტალსო, მაშასადამე, საზოგადოდ შრომაცო. მაშ გამოდის, რომ მერმინდელი, კოლლექტივისტური შრომა და საზოგადოდ შრომა ერთი და იგივეა! ოჰ! საცოდაობავ ლოღიკისავ!!!

„აქ არის ბრძოლა ადამიანთა შორის და არა „ადამიანსა და ბუნებას შორის“, როგორც ბ. ვ. წერეთელი გვარწმუნებს... ეს ის შეხედულებაა, ბ. ვ. წ., რომელიც ნამდვილი წინააღმდეგობის ჩაფუჩეჩებას ლამობს და ბუნებრივ წინააღმდეგობას აწერს იმას, რაც სოციალური ურთიერთობის წარმოშობილია“. ეს გახლავს ფილოსოფია ბ-ნ ა. წულუკიძისა! ხოლო ამის წინააღმდეგ მოვიყვან მარქსის ფილოსოფიას: „ჩემი თვალთა-ხედვის ისარი, რომელიც უყურებს საზოგადო-ეკონომიურ ფორმაციათა განვითარებას, როგორც ბუნებრივ პროცესს *)... მაშასადამე, მარქსის აზრით, წინააღმდეგ ბ-ნ ა. წულუკიძის ფილოსოფიისა, სოციალური მოვლენა იგივე ბუნებრივი ყოფილა, და მარქსს ხომ ვერ დავწამებთ „ნამდვილ წინააღმდეგობის“ ჩაფუჩეჩებას!

წინა წერილში ვწერდი, რომ მუშები ებრძვიან კაპიტალსა მეთქი. ბ-ნი ა. წულუკიძე ამ აზრს მისწორებს და გვასწავებს, რომ მუშები კაპიტალს კი არა, კაპიტალისტებს ებრძვიანო, და აქაც რაღაცას ჩაფუჩეჩებას მწამებს: დაბალ გონებას ყველგან ლალატი ჰგონია. მაგრამ, ნუ თუ ძნელი გასაგებია, ბ-ნო ა. წულუკიძე, რომ კაპიტალთან ბრძოლა იგივე კაპიტალისტებთან ბრძოლაა? რომელიმე კლასსი თუ კაპიტალის გაუქმებას სცდილობს, იგი უთუოდ იბრძვის იმ კლასსთან, რომელიც კაპიტალს იცავს. ნუ თუ ასე ძნელი იყო ამის მიხვედრა? ვერე რაში მდგომარეობს აქ ჩაფუჩეჩება? დავიჯეროთ, რომ ერთად ერთი და ცილის-წამება დაგრჩენიათ თავის დასაცველად?!

ბ. ა. წულუკიძის აზრით, ბრძოლა არის მხოლოდ ადამიანთა შორის. მარქსი კი აი რას ამბობს:

„კაპიტალისტისა და მიწადმფლობელის ფიგურები ვერა მყავს გამოხატული სანაქებოდ. მაგრამ ჩემს თხზულებაში პიროვნებათ იმდენად ვხები, რამდენადაც იგინი წარმოადგენენ ეკონომიურ ურთიერთობათა და ინტერესთა განხორციელებათ“ **). დიაღ, ეკონომიური წინააღმდეგობა და ბრძოლა ჰსუფევს არა მხოლოდ პიროვნებათა შორის, არამედ ობიექტივ პირობათა შორისაც. ამასთანავე შეუძლებელია გამოვაცალკევოთ ადამიანნი ობიექტივ პირობათაგან და ობიექტივი პირობანი პიროვნებათაგან. ამიტომ, როცა ობიექტივ პირობების შესახებ გვაქვს ლაპარაკი, მაშინ სუბიექტივი ფაქტორებიც უნდა ვიგულისხმოთ, და აგრეთვე წინააღმდეგ. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბრძოლა სუფევდა ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, ცხადია, ადამიანებიც გვყავს სახეში; აგრეთვე, როდესაც ვამბობთ, რომ ბრძოლაა კაპიტალიზმსა და კოლლექტივიზმს შორის, მაშინაც კიდევ ადამიანებს ვგულისხმობთ. სად არის აქ ჩაფუჩეჩება? არა, ბ-ნო ა. წულუკიძევ, ჩაფუჩეჩება თქვენი ხელობაა და თქვენთვისვე დამილოცნია!..

დასასრულ არ შემიძლიან არ მოვიყვანო თქვენი შესანიშნავი ციტატი, რომელიც მშვენიერად გახასიათებთ: „დასასრულ თქვენი „რეჩი“ „სიცრუის“ უვარგისობაზე და დიდ მნიშვნელოვან „ჭეშმარიტებაზე“ ვისმინე, მხოლოდ ახალი შიგ ვერა ვპოვე-რა, გარდა იმისა, რომ თქვენ მოკლებული ყოფილხართ ადამიანურ გულწრფელობას და რიგიანობას“... აი, აქ იხატება ბ-ნი ა. წულუკიძე მთელის თავისის სულიერის ვითარებით, აქ აშკარაა ყველაფერი, რისამე დამატებას არლა ჰსაჭიროებს. საკვირველი არ არის, რომ ასეთის სიტყვების მთქმელი ზრდილობიანობას იჩემებს?!.

ამ გვარად, ბ ნო ა. წულუკიძე, თქვენა ხართ წარმომადგენელი და დამცველი შაბლონურ აზროვნობისა. „მამული, შრომა, კაპიტალი“, ამ სიტყვების ერთმანეთთან დაპირდაპირება, რომელიც სჩვევია ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას და რომელიც დაარღვია მარქსმა, თქვენ ისევ გნებავთ აღადგინოთ, რასაკვირველია, მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში, რადგან ყოველივე ვულგარული ახლოა და ძვირფასი თქვენთვის. ამავე მიზეზის გამო თქვენ ვერ იტანთ და ვერც არასოდეს აიტანთ, თუ ოდესმე კრიტიკის სხივმა მოაშუქა ჩვენს ლიტერატურას და დაგვანახვა ჭეშმარიტება არა შაბლონურ ცნებათა შორის, თუ კრიტიკის მახვილმა დაგვირღვია და დაგვიფუშა შაბლონური აზრები. თქვენ იქმნებით წინააღმდეგი კრიტიკის სიახლისა და, მაშასადამე, აზრთა განახლებისაც. თქვენი ნიჭი კონსერვატორულია და აი, ამ „ნიჭიერს უნიჭობას“-კი თქვენვე სხვას აჰკიდებთ თავზედ.

ვ. წ.

*) იხ. „კაპიტალის“ წინასიტყვაობა.

**) იხ. Предисловіе къ „Капиталу“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ი. ჭიჭინაძე. თუ მართლა მოსალოდნელია, რომ სხვა-და-სხვა კონცესიონერისაგან პროექტები მოგვივა, მიხაილოვს ალარაფერს მივცემთ პროექტის შესადგენად.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ინჟინერ მიხაილოვს მაინც უნდა მივცეთ, რადგან პირობითა ვართ მასთან შეკრული. მართალია, ზოგიერთი ფირმა უფულოდ შეგვიდგენს პროექტებს, მაგრამ ისინი მაშინ პირობას დაგვადებინებენ, რომ ამ გზების გაკეთება უეჭველად იმათ მივანდოთ. მერე ამ პროექტის ფასს მაინც არ დაიკლებენ და შეიტანენ უფრო ბევრად საზოგადო ჯამში.

თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარე აი რა წინადადებას გვაძლევს: როცა ინჟინერი მიხაილოვი შეადგენს პროექტს, პროექტი განხილულ და შემოწმებულ იქნება მცოდნეთაგან; შემდეგ თითონ საბჭო გადასწყვეტს, რა ღონისძიებით მოიყვანოს ეს განზრახვა სისრულეში, და თავისს დასკვნას ამ საგნის შესახებ უმახლობელესს კრებას მოახსენებს.

კრებამ ერთხმივ მოიწონა ეს განზრახვა და დაავალა საბჭოს: როცა იგი ინჟ. მიხაილოვისაგან—მიიღებს ვრცელს გეგმას გაუმჯობესებულ გზების და აგრეთვე ამის შესახებ მცოდნე კაცების მოწონებას, მაშინ შეიტანოს იგი განსახილველად უმახლობელესს კრებაზედ.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ინჟინერ მიხაილოვის პროექტი შეეხება დამართებსაც და ელექტრონით განათებასაც. მე ვფიქრობ, რომ კრების გადაწყვეტილება ორივე საქმეს შეეხება.

ხმები: დიახ! დიახ!..

თავმჯდომარე. სამშაბათს ვაპირობ კენჭის ყრა დავიწყო. იმ დროისათვის უნდა გამორკვეული იყოს, ვის რამდენი ხმა აქვს. ვექილობების მიღებას საღამოს ექვს საათზედ ვსპობ, შემდეგ აღარ მივიღებთ, რადგან ბოლო არ მიეცა ვექილობების მიღებასა და მათს შემოწმებას.

კრებას ვსპობ 7 აგვისტოს ათ საათამდე.

## უცხოეთი

—

ჩინეთი. როგორც რუსული გაზეთი „Ам. Кр.“ გადმოგვცემს, 3-დგან 8 ივლისამდე გაუნადგურებიათ და მიწასთან გაუსწორებიათ მდ. ამურის მარცხენა ნაპირზედ მდებარე ჩინელთა სოფლები. ყველაზედ მეტად დაზარალებულან შემდეგი სოფლები: ბუდუნდი, დიდი და პატარა ალიმა, ბოლოტკა, არგუზი-ნიკონი, ტუშკი, ტუიდუნი, ჩიდუნშანი, ჩაპინკი, ხოდუნშანი, განიგურგი, ტარშოპკი და სხვანი. როდესაც ომი დაიწყო ამ სოფლების მცხოვრებნი მდინარის მეორე ნაპირას გადასულან და თან ძალიან ცოტა რამ წაუღიათ, დარჩენიათ სოფლებში საქონელი, ავეჯეულობა, ნავთები, გაულეწავი ძნები. ეხლა ამ სოფლებში გაცი ერთ ადამიანს ვერა ჰნახავს. საქონელი უპატრონოდ დაეხეტება თურმე მინდორში; ბევრის მდიდარის ჩინელის სახლი სავსეა თურმე სანოვაგით, მაგრამ პატრონები ვეღარა ჰბედავენ გადმოსვლასა და წაღებას.

— ბევრგან ჩინეთში დარწმუნებული არიან, ევროპიელებმა კი არა, ჩინელებმა გაიმარჯვესო. პროვინციებში მანდარინები თვით ავრცელებენ თურმე ცრუ ხმებს. კანტონში, მაგალითად, ამას წინად მანდარინებმა დაარწმუნეს ხალხი, რომ მოკრივეებმა მოკავშირეთა 20,000 ჯარის კაცი დაამარცხეს პეკინის მახლობლად და უგუ-სქციისო. ხალხმა დიდი მანიფესტაცია გამართა თურმე ერთის ჩინურის გაზეთის რედაქციის წინ, რომელმაც პეკინის აღების ამბავი დაბეჭდა.

— როგორც „Daily Express“-ი გადმოგვცემს, იაპონელებს, რომელნიც პეკინიდგან გაქცეულ საიმპერატორო გვარეულობის კვალს დაედევნენ, ტყვედ ჩაუგდიათ ვიღაც ჩინელი. ეს ჩინელი იაპონელებს იმპერატორი ეგონათ-სთუ ჰგონებიათ. და ამიტომ იყო ამას წინად დეპეშაში ნათქვამი, რომ იაპონელებმა იმპერატორი შეიპყრესო. როგორც ეხლა ნამდვილად შეუტყვიათ, იმპერატორი, იმპერატრიცა და საიმპერატორო გვარეულობის სხვა წევრნი შანსის პროვინციაში არიან თურმე.

— „Сиб. жизнь“-ი გადმოგვცემს, რომ ჩინეთსა და რუსეთს შორის ბრძოლის დაწყობისა-თანავე ქალაქ ბლაგოვეშჩენსკსა და მთელს ამურის ოლქში მყოფი ჩინელები დიდ გაჭირვებაში ჩაუვარდნილა. ჩინელებს საშინლად დაუწყო თურმე ხალხმა დევნა, როგორც ქალაქებსა, აგრეთვე სოფლებში. ბევრგან თავს ესხმოდნენ უიარაღო, მშვიდობიან ჩინელებს, სცემდნენ და საშინლად აწვალებდნენ. ჩინელს აღარ შეეძლო თურმე ქუჩაში გავლა. ამურის ოლქის გუბერნატორს, გაუცია თუ არა ეს ამბავი ბრძანება გაუცია, ვინც მშვიდობიან უიარაღო ჩინელს ხელს ახლებს, სამხედრო სამართალში იქმნება მიცემულიო.

— ინგლისურ გაზეთ „Morning Post“-ში დაბეჭდილია წერილი არჩიბალდ როსს კოლკაუნისა. კოლკაუნი, ეხება რა ჩინეთის საქმეებს ამბობს, რომ სახელმწიფოები ორ ბანაკად გაიყვნენო: ერთ მხარეს არიან საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია, მეორე მხარეს—ინგლისი, იაპონია და ამერიკა. პირველთა აზრით, ჩინეთის პროვინციები სხვა და სხვა სახელმწიფოს გავლენას უნდა დაექვემდებაროს და აწინდელი სამეფო გვარეულობა არ იქმნას გადაყენებული. ყველა სახელმწიფოს ცალკე პროვინცია ექმნება მიჩენილი და ამ პროვინციაში სხვას საქმე არ უნდა ჰქონდეს. მეორეთა აზრით-კი, ჩინეთის კარები ყველასთვის ერთნაირად უნდა იყოს ღია, რომ ყველას შეეძლოს იქ შესვლა, ვაჭრობა და სხვა საქმის დაჭერა. ამას გარდა საჭიროა მანჯურიის დინასტიის ნაცვლად ჩინეთში სხვა რომელიმე უფრო ძლიერი დინასტია იქმნას გამეფებული.

— ერთ ინგლისელ მისიონერს, გვარად მორგანს, რომელიც სინგან-ფუდგან შანხაიში მისულა, უთქვამს, რომ გუბერნატორის იუ-ხსიენის ბრძანებით ჩინელებმა 67 კაცი მოჰკლესო. ამათგან 37 უცხო-ქვეყნელი მისიონერი ყოფილა, ხოლო 30 ქრისტიანე ჩინელი.

— როგორც „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რუსეთს ჩიკაგოელ ფირმისათვის 6 მილიონი გირვანქა ხორცი შეუკვეთნია. ეს ხორცი რუსეთს ჩინეთში მყოფ ჯარისათვის უნდა.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

მოგვყავს აქ რამდენი ჩინური სიტყვა: ღმერთი ჩინურად— „ა-ლო-ხეა“, იესო— „ე-სუ“, მღვდელი— „შენ-ფუ“, რუსეთი— „ო-გო“, ჩინეთი—„ჯუნ-გო“, მეფე—„ხუან-შან“, დედა—„მუ-ცინ“, ძმა—„ტიუ-ხიუ“, და—„ძე-მა“, კაცი—„ჟენ“, ქალი—„ნია-მია“, „ლიაოპა“, სადილი — „ჩი-ფანი“, „იუნ-ფანი“, „იუნ-მან“, ჩანგალი—„ჩა-ძა“, დანა—„დაო-ძა“, „ბიჩაუ“, „სან-ჩი“, კოვზი—„ჩიძა“, სადილი—„ჯენ-ფან“, დუქანი—„პუ-ძა“, მედუქნე—„პუ-დუნ“, ტახტი—„ჩუან“, სტოლი—„ჯო“, სკამი—„ი-ძა“, შაქარი— „ტან“, საშაქრე— „ტან-გუან“, ჩაი—„ჩა“, თოფის სროლა—„შე“, „ფან“, „და“, ზარბაზნის სროლა—„ფან-პაო“, ჰამა— „ჩი“, „ში“, სმა—„ხე“, „ინ“, ტანისამოსი— „ი-შან“, „ი-ფუ“, კვერცხი— „დან“, „ლუან“, შხამი—„დუ“, ძიძა— „კან-მა“, „აბო-მუ“, სწავლება—„გრაო“, კარგი—„ხაო“, ცუდი—„ხო-ხაო“, როგორა ბრძანდებით? — „უან-შენ“, კარგადა ხართ?—„ნინ-ნა-ხაო“, ღმერთმა გაცოცხლოთ?—„იუან-ი-ნი-ნა-ხაო“. როგორია ეს კაცი— „ჯე გე-ჟუნ-ძენ მა-იან“, რასა იქ?— „ხეო-ში“, რა ბიჭია!—„ხე დენ ინ სიუნ“, საიდგან?—„ძინ-ნარ“, „იუ-ხე“, სიყვარული —„ტან-ლიუნ“, დასჯა—„სინ“, სიკვდილით დასჯა—„სი-სინ“, „დანი“, სტუდენტი— „სიუ-ცაო“.

* * *

ნიუ-იორკელი მკურნალი ჯექსონი რამდენიმე წელიწადია შესდგომია თმის ჩამოცვივნის მიზეზის გამოკვლევას. მკურნალს მრავალი მელოტი კაცი გაუსინჯნია და ბოლოს შემდეგი აღმოუჩენია: 1, მამა-კაცებს უფრო ხშირად სცვივათ თმა, ვიდრე დედაკაცებს. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყოს, ამბობს მკურნალი, რომ დედა-კაცები უფრო უვლიან და უფრთხილდებიან თმას! 2, იმ უცოლო კაცებისა და გაუთხოვარ ქალების რიცხვი, რომელთაც თმა სცვივათ, ორჯელ აღემატება ცოლიანებსა და გათხოვილებს; 3, რაც შეეხება იმას, რა გავლენა აქვს ხელობას, საქმეს თმის ჩამოცვივნაზედ, საყურადღებოა ის, რომ სამასივე, რომელნიც ჯექსონს გაუსინჯნია, განათლებულს წრეს ეკუთვნოდნენ. ავადმყოფობის (მელოტების) მეტ რიცხვს (18 პროცენტს) სასტუმროს პატრონნი შეადგენდნენ, შემდეგ მკურნალები (13%), არტისტები, საზოგადოდ ისინი, რომელთა საქმეც საათობით არ არის განაწილებული. 4, უმრავლესობას თმის ჩამოცვივნა დაეწყოთ 20—30 წლებში. ჯექსონი ამბობს, იმ კაცს, რომელსაც 30 წლამდე თმა არ ჩამოსცვივნია, სიბერემდე შერჩება თმაო. 5, თმის ჩამოცვივნის მიზეზს ჯექსონი ორს უმთავრესს მიზეზს ასახელებს: მემკვიდრეობას და ქერტლს. 300 კაცში, რომელნიც ჯეკსონს გაუსინჯნია, 132 მემკვიდრეობით სჩვევიათ თმის ჩამოცვივნა. ამასთან ჯექსონი ამტკიცებს, მემკვიდრეობით მელოტობა მამაკაცებს მაშინ გადაეცემა, თუ მამის ოჯახშია ეს ავადმყოფობა, ქალებს კიდევ მაშინ—თუ დედის ოჯახშია. მეორე უმთავრესი მიზეზი, როგორცა ვთქვით, ქერტლია. 6, მკურნალობა შეიძლება, თუ, რასაკვირველია, დროზედ დაიწყო და ძალიან არ დააგვიანა. იმ მრავალ მალამოებიდგან და წასასმელებიდგან, რომელიც თმის შესაჩერებლად მოიგონეს, არც ერთი არ გამოდგა ხეირიანი, ამბობს ჯექსონი. ჯექსონის აზრით, ყველაზედ კარგი წასასმელი კოლდ-კრემია 10% გოგირდ არეული. ამას უნდა დაემატოს 3—5% სოლიცილის სიმჟავე.

* * *

ჩინეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნულს, ფელდმარშალს გრაფ ვალდერზეეს თან 20 ლაქია და საზოგადოდ მოსამსახურე წაუყვანია. მათში ერთი მზარეულია, რომელიც მთელს გერმანიაში შესანიშნავ მზარეულად ითვლება. ამ მზარეულს ჯამაგირი იმდენივე აქვს, რამდენიც დივიზიის უფროსს გენერალს. „ნება უნებურად იკითხავს კაცი,—სწერს ამის გამო ფრანგული გაზეთი „Le Journal“-ი,-რა აქვს თვით ვალდერზეეს ჯამაგირი, თუ ამდენი მოსამსახურენი მიჰყავს და ამოდენა ფულს იხდისო?“

* * *

ერთ შვეიცარიულ გაზეთში დაბეჭდილია ცნობები შვეიცარიის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქალების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წელს უნივერსიტეტში სწავლობდა სულ 543 სტუდენტი ქალი და 232 თავისუფალი ყურის მგდებელი. პირველთაგან შვეიცარიელი მხოლოდ 78 იყო, დანარჩენი 465 ქალი უცხო-ქვეყნელი იყო. ამათგან რუსეთის ქვეშევრდომი —321, გერმანიისა—60, ბოლგარიისა— 28, ავსტრიისა—9, შეერთებულ შტატებისა—7, უნგრეთისა—6, სერბიისა—6, რუმინიისა—3, ინგლისისა—2, ნიდერლანდიისა—2 და თითო ქალი იტალიისა, ესპანიისა და შვეციისა. ამათ გარდა 17 ქალი აზიიდგან არის და ერთიც აფრიკიდგანა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აგვისტო

ნიუ იორკი. როგორც გონკონგიდგან იუწყებიან დეპეშით, ადგილობრივ გავლენიან მცხოვრებთა აზრით, ჩინეთის სამხრეთს პროვინციებში უცხოელთა წინააღმდეგ მოძრაობას იმ ზომამდე მიუღწევია, რომ მთავრობის წარმომადგენელნი თავს ვეღარ უჭერენო; როგორც ფიქრობენ, ერთის თვის განმავლობაში კიდევ დაიწყება ამბოხება და უწესოება.

მასსერუ. ლედიბრანდში სულ 150 კაცია, რომელთაც დიდი ზარბაზნები არა აქვთ და მთიან ადგილას არიან გამაგრებულნი. ქალაქის მახლობლად 2,000—3,000 ბური სდგას, რომელთაც 10 ზარბაზანი აქვთ. ჩვენმა ლედიბრანდის ჯარმა ორჯელ მოიგერია მისეული მტერი. ინგლისის გამათავისუფლებელს ჯარს დღეს მოელიან.

ბუენოს აირესი. დღეს აქ ერთი გახდა შავი ჭირით ავად.

ლონდონი. „ტაიმსი“ იუწყება ტოკიოდგან, რომ პეკინიდგან ჯარების გამოყვანის შესახებ იაპონიის მთავრობა სახელმწიფოთა ერთობით მოქმედების თანამგრძნობელია და იმას მიემხრობა, რასაც სახელმწიფოთა უმეტესობა გარდასწყვეტსო.

გლასგო. შავის ჭირით ავადმყოფი 13 კაცი, ოფიციალურის ბიულეტენით, საავადმყოფოში წევს, მეთოთხმეტე საეჭვოდ არის ავად; მკურნალთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება 111 კაცი.

ლონდონი. „ტაიმს“-ს ატყობინებენ დეპეშით შანხაიდგან, რომ 6 აგვისტოს საიმპერატორო ბრძანებაში ნათქვამიაო: რადგანაც შეერთებული ჯარები მოგვიახლოვდნენ, ჩემდა მოვალეობად ვსცანი იმპერატრიცას სურვილი ამესრულებინა და დასავლეთისაკენ გავყოლოდით; ამასთანავე ვუბრძანე იუნ-ლუს, ხეიუ-დუნს და ჩჟუნ-ჩეას, რომ პეკინში დარჩენილიყვნენ, მმართველობა ეკისრნათ და მიეწერათ ლიხუნგ-ჩანგისათვის, რომ ამას ყოველივე ღონისძიება ეხმარნა და სახელმწიფოებთან მოლაპარაკება დაეწყებულიყო. 7 აგვისტოს დაწერილს მეორე ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყველა წარჩინებული მოხელე პეკინიდგან ტაიუენ ფუში გადასახლებულიყო, ხოლო მეფის მოადგილეთა და გუბერნატორებს,—რომ იგინი მათს ბრძანებას დაჰმორჩილებოდნენ და თავისი ხელქვეითი პროვინციები დაეცვათ; იანცზეს მეფის მოადგილეთ მოწერილობა გაეგზავნათ, რომ მისსიონერებისა და ვაჭრებისათვის შემდგომშიაც მფარველობა გაეწიათ.

ლორენცო-მარკეზი. ლეიდენბურგიდგან მრავალი ბური სვასილანდს მიდის. როგორც ხმა დადის ძლიერი ჯარი ბურებისა, რომელსაც კრონი უფროსობს, ოსკუნთან თურმე სდგას, დარკესტანის მახლობლად.

პრეტორია. ხმა დადის, ვითომ ელანდსრივერთან დაჭრილი ბურების გენერალი დელარეი ამ ჭრილობით მომკვდარიყოს.

კრადოკი. წარსულს კვირას ბლუმფონტენში დიდი მღელვარება დაეტყო ხალხს, როდესაც ხმა გავრცელდა რომ ბურების ჯარი ტაბანჩუს მახლობლად გამოჩნდაო. ბრიუსი და გამილტონი შაბათს ტაბანჩუს წავიდნენ; მაშინვე მსწრაფლმავალი ჯარი იქმნა გაგზავნილი. წყლის მილსა და ტაბანჩუს შუა ჩვენს ჯარსა და მტერს ბრძოლა მოუხდათ.

მაისერუ. ბურებმა ფურრიესის უფროსობით ლედიბრანდში მყოფს ჯარს დამორჩილება მოსთხოვეს მაგრამ რადგანაც უარი მიიღეს, ქალაქს ზარბაზანი დაუშინეს.

შანხაი. ერთის კვირის შემდეგ ლიხუნგ-ჩანგი ჩინეთის გემით ტიანძინს მიდის; ლი-ხუნგ ჩანგს თან იაპონიის სამხედრო გემი ახლდება.

პრეტორია. ბურებმა დევეტის უფროსობით კრონშტადტის ჩრდილოეთითა და სამხრეთით რკინის გზის ლიანდაგი აშალეს და დაიჭირეს მიმავალი მატარებელი, რომელსაც სურსათითა და საარტილერიო მასალით დატვირთული 44 ვაგონი მიჰქონდა.

24 აგვისტო

პეტერბურგი. „მთავრობის უწყება“-ში დაბეჭდილია, რომ ჩინეთის ჯარმა ნიუ-ჩუანი გასწმინდა და წავიდა ლიაუანისაკენ, სადაც პოზიციას ამაგრებს; ასენძიანი არ არის დაჭერილი, ხოლო ტუანი-ჯუან-დაი რამოდენადმე დაჭერილი. ფუჯოში მშვიდობიანობაა. იაპონელების მიერ ამოიში გადასხმული ჯარი უკან წაიყვანეს.

შავის ჭირის წინააღმდეგი კომისია აცხადებს, რომ ქალაქ გლასგოში შავი ჭირი გავრცელდაო.

ერივანი. რუსეთის საგეოგრაფო საზოგადოების წევრი პოგგენპოლი, პორუჩიკები ბოგდანოვი და ვლასოვი ქურთებისა და ჯარისკაცებითურთ 20 აგვისტოს დიდს არარატზედ ავიდნენ.

სიმლა. ბრძანება, რომლითაც შეერთებულ იქმნა მეოთხე ბრიგადის ჩინეთში გაგზავნა, გაუქმებულ იქმნა. ბრიგადა დაუყოვნებლივ წავა.

აამშტადტი. ლედიბრანდს ალყა აღარ არტყია.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1900 წელს, 28 აგვისტოს, ნაშუადღევის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით,

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ოლგას ქუჩიდგან მოსკოვის ქუჩაზედ ბოლოტოვის სახლამდე და მოსკოვის ვიწრო ქუჩაზედ ჯავროვის სახლამდე, 190,00 საჟ., 6780 მანეთისა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმე დღეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 1900 წელს 28 აგვისტოს, ნაშუადღევის 12 საათზედ, დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაცემულ იქმნება უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ჭავჭავაძის ქუჩაზედ ქარსელლოვის სახლის ალაყაფის კარებამდე, სიგრძით 26,00 საჟ.; სამუშაო 570 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 2 დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 1900 წელს, 28 აგვისტოს, ნაშუადღევის 12 საათზედ, დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ახალ-არსენალის ქუჩიდგან პანასევიჩის ქუჩაზედ გრიქუროვის სახლის ალაყაფის კარამდე, 74,00 საჟ.; სამუშაო 1749 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—1)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

**15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.**

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—18)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—19)


# ბალანსი

ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკისა 1 ივლისისათვის 1900 წლისა

## აქტივი

| | | მან. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი ფული კასსაში . . . | | 128 289 | 46 | — | — |
| გირავნობის ფურცლებით. . . | | 245,600 | — | — | — |
| კუპონების ახალი ცურცლებით . . | | 1,440 | — | — | — |
| ძველის ტალონებით გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც დანიშნულია მოსასპობად . . . . | | — | — | 375,329 | 46 |
| მიმდინარე ანგარიში სხვა-და-სხვა ბანკში | | 165,739 | 19 | — | — |
| ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი . | | 20,850 | — | — | — |
| კორესპონდენტებთან ნაღდად . . | | 40,989 | 86 | 227,579 | 50 |
| " " გირავნობის ფურც. | | — | — | 475,100 | — |
| ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები: | | | | | |
| ა, სათადარიგო თანხის სარგებლიანი ქაღალდები . . | 430,700 | 422,624 | 37 | — | — |
| ბ, სამოქმედო თანხისა . | 778,800 | 765,152 | 51 | — | — |
| მთავრობის მიერ არა-უზრუნ.-ყოფილი სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| სამოქმედო თანხისა . | 327,600 | 310,593 | 80 | 1.498,370 | 68 |
| იმათი სარგებელი . | | | | — | 33 |
| | 1.537,100 | — | — | | |
| დიდ-ვადიანი სესხი: | | | | | |
| ა, მიწა-ადგილის გირაოდ მიღებით გაცემული . | 3.346,309—37 | — | — | — | — |
| ბ, ქალაქის უძრავ ქონებათა გირაოდ მიღებით გაცემ. | 17.245,656—99 | 20.591,966 | 36 | — | — |
| ვადაზედ გარდახდ. სესხი | 162,021—54 | — | — | — | — |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით . . | 25,912—10 | 187,933 | 64 | 20.779,900 | 00 |
| გასაცემად დანიშნული ხანგრძლივ-ვადიანი სესხი . . . . | | | | 479,900 | 00 |
| მსესხებელნი: | | | | | |
| ა, დანაწილებულნი შემოსატანნი . | | 3,213 | 86 | — | — |
| ბ, ვადას-გადაცილებულნი შემოსატანნი (დებიტორები) . . . | | 16,119 | 71 | 19,333 | 57 |
| შეღავათიანი გარდასახ. § 12: | | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისა . . . | | 458,480 | 07 | — | — |
| ბ, მოკლე-ვადიანის სესხისა . . | | 10,230 | 56 | 468,710 | 63 |
| ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის . . . . | | — | — | 8,659 | 93 |
| მოკლე-ვადიანი სესხი . . . | | — | — | 355,110 | 00 |
| დასაბრუნებელი ხარჯი . . . | | — | — | 39,124 | 30 |
| ვადამდე განაღდებული კუპონები . . | | — | — | — | — |
| 5% გარდასახადი კუპონებისა . . | | — | — | — | — |
| ხარჯი: ა, ბანკის მორთვა-მოწყობისა . | | 8,038 | 63 | — | — |
| " ბ, გამგეობისა და შენახვისა . | | 31,678 | 56 | 39,717 | 19 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები . . . . . | | — | — | 174,528 | 50 |
| ბაქოს სააგენტოშია ნაღდ ფულად . | | 84,322 | 54 | — | — |
| " " გირავნ. ფურცლებით | | 46,900 | 00 | 131,222 | 54 |
| 6% გარდახდილი კუპონები, რომელიც დაბრუნებულ იქმნას 6% გირავნ. ფურცლების ანგარიშიდგან . . | | — | — | 542 | 00 |
| შემოსავალი და ხარჯი იმ მამულებისა, რომელიც ბანკს დარჩა . . | | — | — | 7,482 | 11 |
| 5%-იანი განაღდებული კუპონები, რომელნიც უნდა დაბრუნებულ იქმნენ 5% გირავნობის ფურცლების ანგარიშიდგან. . . . | | — | — | — | — |
| ბანკზედ დარჩენილ მამულებზედ ირიცხება თავნი ვალი: | | | | | |
| ა, ქალაქის მამულებზედ | 53,923—95 | | | | |
| ბ, მიწა ადგილზედ . | 17,566—58 | | | | |
| გ, მოკლე-ვადიან სესხისა | 6,350—00 | | | | |
| | 77,840—53 | | | | |
| ბალანსი | | | | 25.080,610 | 29 |

## პასსივი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძირის ფული . . . . . | — | — | 523,984 | 52 |
| სათადარიგო თანხა . . . . | — | — | 422,662 | 73 |
| თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . | — | — | 29,618 | 61 |
| სასოფლო-სამეურნეო თანხა . . | — | — | 23,635 | 78 |
| საყოველ-შემთხვევო თანხა . . | — | — | 19,579 | 85 |
| 4½% გამოცემული გირავნ. ფურც. . | 5.248,500 | 00 | — | — |
| 5% " " " . | 15.320,200 | 00 | 20.568,700 | 00 |
| გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე-101 §-ის ძალით, არა სავალდებულო გარდასახადის მოსასპობად . . . . | — | — | 211,200 | 00 |
| გირავნობის ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი . . . . | — | — | 479,900 | 00 |
| გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემული . . . | — | — | 265,600 | 00 |
| ვადამდე გადასახდელი სესხი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით . . | 81,300 | 00 | — | — |
| ბ, ნაღდის ფულით . . . | 25,912 | 10 | 107,212 | 10 |
| ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები: | | | | |
| 4½% . . . . . | 38,000 | 00 | — | — |
| 5% . . . . . | 520,700 | 00 | — | — |
| 6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსული ჩვეულებრივ და გაძლიერებულის კონვერსიით . . . . | 37,700 | 00 | 596,400 | 00 |
| გირავნობის ფურცლების გადასახდელი კუპონები: | | | | |
| 5% . . . . . | 355,115 | 00 | — | — |
| 4½% . . . . . | 107,210 | 25 | 462,325 | 25 |
| სარგებლის ფონდი: | | | | |
| 5% . . . . . | 432,740 | 79 | — | — |
| 4½% . . . . . | 121,516 | 94 | 554,257 | 73 |
| თავნის გასასტუმრებელი თანხა: | | | | |
| 5% ვადით . . . . | 7,452 | 36 | — | — |
| 5% უვადოთ . . . . | 126,219 | 14 | — | — |
| 4½ უვადოდ . . . . | 28,350 | 04 | 162,021 | 54 |
| თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული . . . . . | — | — | 72 | 93 |
| გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდის ფულით . . | 76,902 | 66 | — | — |
| ბ, გირავნობის ფურცლებით . | 227,300 | 00 | — | — |
| ამ თავითვე გარდახდილი შესატანი . | 2,785 | 55 | 306,988 | 21 |
| მოკლე-ვადიან სესხის სარგებელი . | — | — | 12,558 | 86 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნ. ფურც. | — | — | 193,400 | 00 |
| მართვა-შენახვის ხარჯის თანხა . | 88,486 | 22 | — | — |
| დასაფასებელ და სხვა ხარჯის თანხა . | 3,393 | 41 | — | — |
| ჯარიმა . . . . . | 17,656 | 91 | — | — |
| სხვა-და-სხვა სარგებელი . . | 28,861 | 03 | 138,397 | 57 |
| კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც. | — | — | 1,440 | 00 |
| 5% სახელმწიფო გარდასახადი . . | — | — | 454 | 61 |
| განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში | — | — | 200 | 00 |
| ბალანსი | | | 25.080,610 | 29 |

გირავნობის ფურცლები და სხვა სარგებლიანი ქაღალდები შესანახად მობარებული 5,200 მან.

გირავნობის ფურცლების კუპონებისა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება **ქ. ტფილისში**—ბანკის კასსაში; **ს.-პეტერბურგში**—პეტერბურგის საზიტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ.; **ოდესას**—ბ-ნ ო. ხაისთან; **მოსკოვში**—მოსკოვის საზიტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; **ვარშავაში**—ვარშავის საკომერციო ბანკში; **ტაგანროგში**—აზოვო დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; **რიგაში**—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; **რეველში**—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში, და სახელმწიფო ბანკში და ამ ბანკის ყოველ კანტორასა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე